

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე “მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ” საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა.) კანონპროექტის მიღების მიზანი:

აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ “მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის დანართში შეტანილია ამაჟამად ერედვის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შემავალი სოფელი ერედვი, მაგრამ კანონში ხარვეზის გამო გამორჩენილია ამავე მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შემავალი და ანალოგიური პარამეტრების მქონე და ასევე კონფლიქტის ზონაში მდებარე სოფელი ბერულა (ზღვის დონიდან 1010 მეტრი სიმაღლე). ამ მიზეზით სოფელ ბერულას მოსახლეობაზე არ ვრცელდება “მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული მოქმედება და საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი შეღავათები, მათ შორის განათლების სფეროში.

ა.ბ.) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიღებით “მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის დანართში ერედვის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ჩამონათვალს დაემატება სოფელი ბერულა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა.) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დამატებითი ხარჯების გაწევას 2008 წლის 1 იანვრიდან 17 ათასი ლარის ფარგლებში.

ბ.ბ.) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ.) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ.) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება წარმოქმნის სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებას 2008 წლის 1 იანვრიდან 17 ათასი ლარის ფარგლებში.

ბ.ე). კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რამდენადაც მიმართა ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება გააუმჯობესებს იმ პირობა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართ გავრცელდება “მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მოქმედება და საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი შედეგები, მათ შორის განათლების სფეროში.

ბ.ე). კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალსწინებს.

გ). კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

გ.ა). კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არაა წინააღმდეგობაში ევროკავშირის დირექტივებთან.

გ.ბ). კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტი არაა წინააღმდეგობაში საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან.

გ.გ). კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ). კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა). სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ სახელმწიფო დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, ექსპერტებს.

დ.ბ). კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის(დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტებს.

დ.გ). კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე შალამბერიძე.

დ.დ). კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე შალამბერიძე.